მზია შელია
Mzia Shelia
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Faculty of Economics and Business
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი
Institute of Demography and Sociology

ივანე ჯავახიშვილი საქართველოს მოსახლეობის აღწერების შესახებ
Ivane Javakhishvili about Georgia's population censuses

საკვანძო სიტყვები: *დემოგრაფია, მოსახლეობის აღწერა, ივანე ჯავახიშვილი, ეთნოსტრუქტურა.*
Keywords: *Demography, Population census, Ivane Javakhishvili, Ethnic structure*

განუზომელია ივანე ჯავახიშვილის წვლილი დემოგრაფიული წერილობითი ძეგლების მოძიებაში, აღწერა-ანალიზსა და მეცნიერულ შეფასებაში. მან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა საქართველოში მოსახლეობის პერიოდული (7 წელში ერთხელ) აღწერის ტრადიციულობა, შეისწავლა მოსახლეობის აღწერის კონკრეტულ მიზნები, აღწერის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები, დაასაბუთა აღწერის პროგრამის არსებობა და გამოავლინა მოსახლეობის არასწორი აღრიცხვის შემთხვევაში დამნაშავეთა სამართლებრივი სასჯელის მაშინდელი ნორმები; შეაფასა ომების გავლენა რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაზე და, შესაბამისად, დემოგრაფიულ კლებაზე. მან უარყოფითად შეაფასა 1926 წლის მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით აღრიცხვის მაშინდელი მეთოდოლოგია და გვიჩვენა მისი უარყოფითი შედეგები. კერძოდ, ცალკე ეთნიკურ ჯგუფად მუსულმანების გამოყოფამ, რომელშიც მოქცეულნი იყვნენ ქართველი მაჰმადიანები, დაამახინჯა მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა, და ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებს საფუძველი მისცა ერთის მხრივ არასწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა გაეტარებინათ, მეორეს მხრივ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც დაერღვიათ.

Ivane Javakhishvili's contribution to the search for written monuments on demography, their description, analysis and scientific evaluation is immeasurable. Based on historical sources, Ivane Javakhishvili substantiated the traditional character of the periodical (once every 7 years) population census in Georgia, studied the specific goals of the population census, the sources of financial support for the census, substantiated the existence of the census programme and found the norms of legal punis-

hment for criminals in case of incorrect population census applicable then; assessed the impact of wars on the territorial movement of the population of the region and, accordingly, on the demographic decline; He negatively evaluated the methodology of 1926 population census based on ethnicity of that time and showed us its negative results. In particular, the categorization of Muslims into a separate ethnic group, which included Georgian Muslims, distorted the ethnic structure of the population, and gave ethnically diverse regions a reason to implement an improper educational policy on the one hand, and to violate the territorial integrity of the country, on the other hand.